# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/241

ქ. თბილისი 20 სექტემბერი 2018

სტუ-ის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის უფროსის, პროფ. ა. გიგინეიშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის უფროსის პროფ. ა. გიგინეიშვილის 18.09.18წლის №01-09-33/4895 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის № 01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის უფროსის პროფ. ა. გიგინეიშვილის თხოვნა და საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტს, საგამოცდო ტესტების შედგენისათვის (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) 2018-2019 სასწავლო წლისათვის გამოეყოს 9500 (ცხრა ათას ხუთასი) აკადემიური საათი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე